საქართველოს პარლამენტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8.
ტელ: 28 16 44
ფაქსი: 92 24 09

№ 11910
„12" 11 2008 წ.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

2008 წლის 3 ნოემბერს №8 დიდუბის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული გურამ ჩახვაძის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მიმდინარე წლის 12 ნოემბრის სხდომაზე განიხილა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული მასალები 2008 წლის 3 ნოემბერს შუალედური არჩევნების შედეგად №8 დიდუბის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული გურამ ჩახვაძის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკითხი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტში წარმოადგინა 2008 წლის 6 ნოემბერს სს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაცემული ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ გურამ ჩახვაძეს ნარკომანიისათვის დამახასიათებელი ნიშნები არ აღენიშნება და ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში აღრიცხვაზე არ იმყოფება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პარლამენტის მიერ ცნობილი უნდა იქნეს გურამ ჩახვაძის პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

კომიტეტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე

დავით თოდრაძე

შემსრულებელი: პ.წურწუმია
ტელ: 281316